ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4588380

ნომერი: AR1689466

თარიღი : 22.06.2019

გაცემის თარიღი : 15.07.2019

გაცნობის თარიღი : 15.07.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი,ლუბლიანის ქუჩის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ არჩვაძე პ/ნ 37001007774
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ I მ/რ კორ. 15 ბ. 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 18 აპრილის №4446602 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 22 ივნისს №AR1689466 განცხადებით მომართა მერაბ არჩვაძემ. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 18

აპრილის №4446602 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, 2019 წლის 18 აპრილის №4446602 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.01.018.321), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524673 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 31 მაისიდან 2021 წლის 31 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, 2019 წლის 18 აპრილის №4446602 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებზე არასწორად არის დაფიქსირებული ფართობები და აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2019 წლის 22 ივნისს №AR1689466 განცხადებაზე წარმოდგენილი გეგმები, შეცვლილია სამსახურის უკვე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტის გეგმებთან მიმართებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2019 წლის 18 აპრილის №4446602 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა არის სამშენებლო დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის ცვლილებაც და შესაბამისი მონაცემების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახვა ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საფუძველს არ წარმოადგენს, აღნიშნული საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი 2019 წლის 18 აპრილის №4446602 ბრძანებაში.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.